ჩინეთის ეკონომიკური დიპლომატიის ზოგიერთი ასპექტები

ნუგზარ ბაბუაძე, სტუ-ს პროფესორი

Summary

China is one of the most dynamically developing States in the world, which inevitably entails a modification of its role in the system of international relations. High economic growth and active involvement in the world economy have led to the process of transforming China from a regional leader in one of the world's leading powers. Changing the status of China in the international arena, attracts a lot of attention of researchers to study the evolution of the foreign policy of China and the dynamics of foreign economic relations and their impact on the development of relations with other countries. In addressing these challenges, the modern China has increasingly resorted to techniques of economic diplomacy, as the economic might of China and a growing economic dependence on China not only developing but also certain developed countries largely contributed to the widespread use of economic instruments in dealing with China. It is safe to say that the economic diplomacy is not a product of only modern globalized society. Politics and Economics throughout the history of the evolution of international relations, mutually influence each other. Economic diplomacy is designed to address the following objectives:-to provide the country's leadership with timely delivery of information about the economic situation abroad, the foreign economic policies of other States, international organizations, economic positions, strategies and interests of actors in international relations, the dynamics of world economic order; -influence through diplomatic channels and the normative instruments of international economic relations in the interest of their State; -support and protect domestic business overseas, attract foreign investors in the economy of their country.

In the development of the economic diplomacy of China modern researchers distinguish two stages, closely related to the peculiarities of its political development. The first stage covers 1949-1978. During this period, the PRC Government is seeking recognition of the PEOPLE'S REPUBLIC of CHINA on the part of other countries, established diplomatic relations with them. The economic diplomacy of China in this period, is aimed at strengthening cooperation with the Soviet Union as a leading partner of China in the international arena. "Before the economic diplomacy is to expand bilateral trade, strengthening bilateral economic, scientific and technical cooperation, receiving from the Soviet side of economic and technical assistance". In addition to developing trade and economic relations with other countries, especially in the Asia-Pacific region. China has, to the extent possible, to less developed States neighbors economic and technical assistance, thereby ensuring the relative security of their borders and getting the opportunity to send forces to the inner development of the country and strengthening its economy and political system.

All these and other facts show the indisputable achievements of the economic policy of the leadership of China and therefore the success of the Chinese economic diplomacy.

****

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, 2015 წლისათვის, გადაადგილებს ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიო ეკონომიკის ლიდერის პოზიციიდან. ასეთი პროგნოზი გამოაქვეყნეს მსოფლიო სავალუტო ფონდის ექსპერტებმა [1].

2013წლის იანვარ-ივნისში ჩინეთის მიერ უცხოური კაპიტალის ფაქტობრივად გამოყენებულმა მოცულობამ (მათ შორის ფინანსური და არაფინანსური ინსტიტუტების გათვალიწინებით) შეადგინა 61 მილიარდ 984 მილიონი აშშ დოლარი, რაც4,9%-ით მეტია 2112წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან. 2013 წლის ამავე პერიოდში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით დაფუძნებულ იქნა 10630 წარმოება, ხოლო მათგან 8491კი უცხოური კაპიტალის 100%-იანი მონაწილებოთ, რაც თანხაში 46მლრდ აშშ დოლარზე მეტით გამოიხატა[2]. აქვე უნდა ავღნიშნოთ,რომ ჩინეთის კანონმდებლობით, 100%-იან უცხოურ კაპიტალზე დაფუძნებულმა კომპანიებმა აუცილებლად უნდა გამოიყენონ თანამედროვე პროგრასული ტექნოლოგიები და დანადგარები და წარმოებული პროდუქციის უმეტესი ნაწილი საზღვარგარეთ უნდა იქნეს რეალიზებული[3].

როგორც მრავალი ეკონომიკურ-ფინანსური მაჩვენებელი მეტყველებს, თანამედროვე ჩინეთი წარმოადგენს მსოფლიო სახელმწიფოთა შორის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დინამიურად განვითარებად ქვეყანას[4], რაც თავის მხრივ იწვევს მისი როლოს სათანადო ცვლილებებს საერთაშორისო ურთიერთობებში. ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებმა და მსოფლიო სამეურნეო სისტემაში აქტიურმა ჩართვამ, განაპირობა პროცესი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რეგიონალური ლიდერიდან მსოფლიოს ერთერთ წამყვან ზესახელმწიფოდ გარდაქმნისა.

საერთაშორისო არენაზე, ჩინეთის სტატუსის შეცვლა მკვლევართა და ექსპერტთა დიდ ყურადღებას იპყრობს, კერძოდ, სათანადო შესწავლის საგანი ხდება ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ევოლუცია, ასევე მისი საგარეო ეკონომიკური კავშირების დინამიკა და მათი ზემოქმედება სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის განვითარებაზე. ასეთი მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულებისას თანამედროვე ჩინეთი სულ უფრო ხშირად მიმართავს ეკონომიკური დიპლომატიის პროგრესულ ხერხებსა და მეთოდებს, რადგანაც ცალკე ჩინეთის ეკონომიკური სიძლიერე და სულ უფრო მზარდი ეკონომიკური დამოკიდებულება ჩინეთისაგან არა მარტო განვითარებადი, არამედ ცალკეული განვითარებული სახელმწიფიებისაც კი, ხშირად გამოვლინდება როგორც ეკონომიკური ბერკეტი ჩინეთის საგარეო

პოლიტიკური ამოცანებისა და პრობლემების გადაწყვეტისას. ამასთან დაკავშირებით, თანამედროვე ჩინეთის ეკონომიკური დიპლომატიის არსისა და განსაკუთრებულობის ანალიზი წარმოადგენს მრავალი კვლევის აქტუალურ ამოცანას.

თანამედროვე ლიტერატურაშიეკონომიკური დიპლომატიის ცნების ქვეშ იგულისხმება დიპლომატიური საქმიანობის ის ნაწილი, რომელიც მიმართულია ეკონომიკური მიზნებისა და ინტერესების სახელმწიფოებრივ რეალიზაციაზე. ასეთი განმარტება სულ უფრო გამოიყენება თანამედროვე ეტაპზე, თუმცა არ იქნებოდა მართებული გვეფიქრა, რომ მხოლოდ თანამედროვე საზოგადოებაშია სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესები ჩართული დიპლომატიოური საქმიანობის სფეროში, რა თქმა უნდა აღსანიშნავია ის, რომ სახემწიფოთა შორის ურთირთობათა და თანამშრობლობის ადრეულ ეტაპზე, ვაჭრობა, როგორც ურთიერთობის აქტიური სფერო, თავის მნიშვნელობას ყოველთვის მეტნაკლებად გამოხატავდა. ცნობილია ისიც, რომ ფაქტობრივად ვაჭრობა იყო მთავარი მიზეზი იმისა, რათა დაედოთ საერთაშორისო ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ამსახველი სამართლებრივი დოკუმენტები. ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური დიპლომატია არ გვევლინება მხოლოდ თანამედროვე გლობალური საზოგადოების "შობილად".

საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე პოლიტიკა და ეკონომიკა ყოველთვის განიცდიდა და განიცდის ურთიერთ ზემოქმედებას. ეკონიმიკური დიპლომატიის ძირითად ამოცანები შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

- დროულად მიაწოდოს თავისი სახელმწიფოს ხელმძღვანელობას ინფორმაცია საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონიმიკური მდგომარეობის შესახებ, სხვა სახელმწიფოთა საგარეო ეკონიმიკური პოლიტიკის შესახებ, საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, საერთაშორისო ურთიერთობის სუბიექტების ეკონომიკური პოზიციის, სტრატეგიისა და ინტერესების შესახებ, მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის (მდგომარეობის) დინამიკის შესახებ;
- დიპლომატიური არხებისა და ინსტრუმენტების მეშვეობით გავლენა იქონიოს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ნორმატიული ბაზის ფორმირებაზე, რათქმაუნდა თავისივე სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე;
- თავისი ქვეყნის ბისზნესის წარმომადგენელთა ინტერესების დაცვა და მათი მხარდაჭერა, საზღვარგარეთიდან ინვესტიციების მოზიდვა და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკის აღმშენებლობის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა.

ჩინეთის ეკონომიკური დიპლომატიის განვითარების საკითხის განხილვისას თანამედროვე მკლევარები გამოყოფენ ორ ეტაპს, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ჩინეთის პოლიტიკური განვითარების თავისებურებებთან. პირველი ეტაპი მოიცავს 1949-1978 წლებს, ამ პერიოდში ჩინეთის მთავრობა ცდილობს სხვა სახელმწიფოთა მხრიდან ჩინეთის აღიარების მიღწევას, აქტიურად მინდინარეობს დიპლომატიური ურთიერთობების დალაგება-დამყარება.

ჩინეთის ეკონომიკური დიპლომატია, ამ პერიოდში, ძირითადად მიმართულია საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის დამყარებაზე. მაშინდელი ეკონიმიკური დიპლომატიის წინ ძირითადად იდგა შემდეგი სახის ამოცანა: ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება, ორმხრივი ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განმტკიცება, რაც შეიძლება ეფექტური ეკონიმიკური და ტექნიკური დახმარების მიღება. ამასთან ერთად ღვივდება და ვითარდება სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები სხვა ქვეყნებთანაც, პირველ რიგში აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებთან. ჩინეთი შესაძლებლობების ფარგლებში დახმარებას უწევს ნაკლებად განვითარებულ მეზობელ ქვეყნებს ეკონომიკურ და ტექნიკურ სფეროში, რითაც ის უზრუნველყოფს თავისი საზღვრების შედარებით უსაფრთხოებას, რაც თავის მხრივ იძლეოდა საშუალებას მიემართა ძალები და სახსრები ქვეყნის შიდა ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაზე და პოლიტიკური სტაბილობის გამყარებაზე. დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან კი ურთიერთობა ამ პერიოდში რთულ და წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. ერთის მხრივ - განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები აქტიურად ეწინააღმდეგებიან ახალ კომუნისტურ ჩინეთს, მატერიკიდან კი, ჰონგ-კონგის გავლით, ყოფილი კონცესიებს თავიანთი აქტივები გამოაქვთ; შემოაქვთ ემბარგო ჩინეთთან ვაჭრობაზე, მეორეს მხრივ ზოგიერთ დასავლეთ ევროპულ ქვეყანში (საფრანგეთი, დიდ ბრიტანეთი) სავაჭრო ინტერესები ასე თუ ისე ძალობს და მათი მხრიდან ემბარგო გაუქმებულ იქნა, ხოლო ჩინეთში მათ გააგზავნეს თავიანთი საქმიანი წრეების წარმომადგენლები. ამ მაგალითით ნათლად ჩანს, რომ ეკონომიკა სულ უფრო მეტად განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკურ დინამიკას.

ჩინეთის ეკონომიკური დიპლომატიის განვითარების მეორე ეტაპის დასაწყისად, თანამედროვე მკლევარები თვლიან 1978წლის დეკემბერს, ეს ის პერიოდია, როდესაც ჩინეთის კპ ცკ მე-3 პლენალურ სხდომაზე პარტიისა და მთავრობის მთავარ ამოცანად გამოცხადებულ იქნა "ეკონომიკური აღმშენებლობა", აი ამ მომენტიტად ეკონომიკური დიპლომატია ჩინეთში განიხილება როგორც ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკისა და მისი როლი სულ უფრო იზრდება და მნიშვნელოვანი ხდება ზოგადად დიპლომატიურ პრაქტიკაში.

ჩინეთი დღეისათვის წარმოადგენს მსოფლიო ბაზრის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ წევრს, რომელიც მიზანმიმართულად და პრაქტიკულად შეუნელებელი ტემპებით აძლიერებს თავის პოზიციებს და რა თქმა უნდა მათ შორის ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად გამოიყენება ეკონიმიკური დიპლომატიის პროგერსული ხერხები და ინსტრუმენტები.

ჩინეთის თანამედროვე ეკონომიკური დიპლომატიის ერთერთ ბრწყინვალე მაგალითად შეიძლება დასხელდეს მსოფლიო ინტელექტუალური რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის ოპტიმალური გზების მოძიება. პირველ რიგში აქ უნდა აღინიშნოს მაღალი ტექნოლოგიების მიღწევადობა, რომელთა შორის უმთავრესი ინტერესი მიმართულია ენერგეტიკის სფეროზე და გარემოს დაცვაზე.

ჩინეთმა, მხოლოდ 1987 წლიდან დაწყებული 2007 წლამდე, 30 მილიარდ აშშ დოლარამდე საერთო თანხის 10 ათასზე მეტ კონტრაქტზე დადო ხელშეკრულება მაღალი ტექნლოგიების შესაძენად. მაღალი ტექნოლიგიების შეძენის ძირითად წყაროებად გამოყენებულ იქნა ევროკავშირის ქვეყნები და იაპონია. მხოლოდ 2008 წლის მონაცემებით ჩინეთმა ევროკავშირის ქვეყნებიდან შეიძინა 27000 ტექნოლოგია 111 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით, რამაც მთლიანობაში შეადგინა მაღალი ტექნოლოგიების იმპორტის მხოლოდ 40%.

ჩინეთის ეკონომიკური დიპლომატიის ერთ ერთ სერიოზულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს მისი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება. 2001წლის 11დეკემბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გახდა მსოფლიო სავაწრო ორგანიზაციის წევრი, რითაც წარმატები დასრულდა თხუთმეტწლიანი ურთულესი მოლაპარაკებები. ჩინური ეკონომიკური დიპლომატიის მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს მანამდე-1980წელს საერთაშორისო სავაჭრო-სავალუტო ფონდის წევრობის და მსოფლიო ბანკის წევრობის აღდგენაც, 1986წელს კი აზიის ბანკთან მიერთება და გაწევრიანება აზია-წყნარი ოკეანეს ეკონომიკურ კავშირში.

ზემოდ მოყვანილი და სხვა ფაქტები ნათელ მაგალითს წარმოადგენენ ჩინეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ეკომომიკური პოლიტიკის წარმატებებისა და შესაბამისად წარმატებებისა ჩინეთის ეკონომიკური დიპლომატიისა.